შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9-24
1. შესავალი	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	17
5. მარაგები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
7. გაცემული სესხები	18
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
10. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	19
11. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	19
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
13. პირობითი ვალდებულებები	19
14. ფინანსური რისკის მართვა	20
15. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	23
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,მსს ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 17 ოქტომბერს.

_____

დიმიტრი ზედელაშვილი

დირექტორი

2023 წლის 17 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 17 ოქტომბერს.

დიმიტრი ზედელაშვილი

დირექტორი

2023 წლის 17 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

ALGI AUDIT

შპს "ალგი აუდიტი"
ი.აბაშიძის ქ.42
საქართველო, თბილისი, 0179
ტელ: +995 599 708 338

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსის" მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსის" (შემდგომში „კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშულაო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 31 აგვისტოს და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 16,187 ათასი ლარის ღირებულებებით. ვინაიდან მარაგების საწყისი და საბოლოო ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.
აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ

გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2023 წლის 17 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2023 წლის 17 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		20	21	18
არამატერიალური აქტივები		4	5	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**24**	**26**	**18**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	16,187	909	254
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,672	1,248	400
გადახდილი ავანსები		2,024	486	2
გაცემული სესხები	7	1,081	734	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	18	497	165
სულ მიმდინარე აქტივები		**24,982**	**3,874**	**821**
სულ აქტივები		**25,006**	**3,900**	**839**
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,320	616	4
სულ კაპიტალი		**3,320**	**616**	**4**
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები		9	1,255	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	14,836	1,586	617
საგადასახადო ვალდებულება		29	151	6
სახელშეკრულებო ვალდებულებები		6,812	292	212
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**21,686**	**3,284**	**835**
სულ ვალდებულებები		**21,686**	**3,284**	**835**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**25,006**	**3,900**	**839**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

_____

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნა	**2022**	**2021**
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	10	50,609	24,738
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11	(45,946)	(22,776)
საერთო მოგება		**4,663**	**1,962**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(920)	(666)
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(1,000)	(123)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		213	5
სხვა საოპერაციო ხარჯები		(38)	(1)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**2,918**	**1,177**
ფინანსური შემოსავლები		229	136
ფინანსური ხარჯები		(443)	(211)
მოგება დაბეგვრამდე		**2,704**	**1,102**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**2,704**	**1,102**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**2,704**	**1,102**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

_____

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2021	**-**	**4**	**4**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,102	1,102
გამოცხადებული დივიდენდი	-	(490)	(490)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	**-**	**616**	**616**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,704	2,704
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	**-**	**3,320**	**3,320**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

_____

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,704	1,102
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა		6	5
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		1	1
საპროცენტო ხარჯი		421	190
საპროცენტო შემოსავალი		(126)	(75)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა		(103)	(61)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე		11	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		**2,914**	**1,162**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,075)	(1,329)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(1,538)	(484)
ცვლილებები მარაგებში		(15,289)	(655)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		13,851	1,602
ცვლილებები სახელშეკრულებო ვალდებულებებში		6,519	79
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		(122)	145
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(1,654)**	**(642)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,260**	**520**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5)	(13)
გაცემული სესხები	7	(8,510)	(1,755)
გაცემული სესხების დაფარვა	7	8,123	771
მიღებული პროცენტი	7	128	71
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(264)**	**(926)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის აღება		11,127	3,919
სესხის დაფარვა		(12,049)	(2,481)
გადახდილი პროცენტი		(427)	(168)
გადახდილი დივიდენდი		-	(490)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**(1,349)**	**780**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		**(126)**	**(42)**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(479)	332
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		497	165
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	**18**	**497**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

_____

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		20	21	18
არამატერიალური აქტივები		4	5	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**24**	**26**	**18**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	16,187	909	254
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,672	1,248	400
გადახდილი ავანსები		2,024	486	2
გაცემული სესხები	7	1,081	734	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	18	497	165
სულ მიმდინარე აქტივები		**24,982**	**3,874**	**821**
სულ აქტივები		**25,006**	**3,900**	**839**
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,320	616	4
სულ კაპიტალი		**3,320**	**616**	**4**
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები		9	1,255	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	14,836	1,586	617
საგადასახადო ვალდებულება		29	151	6
სახელშეკრულებო ვალდებულებები		6,812	292	212
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**21,686**	**3,284**	**835**
სულ ვალდებულებები		**21,686**	**3,284**	**835**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**25,006**	**3,900**	**839**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	10	50,609	24,738
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11	(45,946)	(22,776)
საერთო მოგება		**4,663**	**1,962**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(920)	(666)
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(1,000)	(123)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		213	5
სხვა საოპერაციო ხარჯები		(38)	(1)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**2,918**	**1,177**
ფინანსური შემოსავლები		229	136
ფინანსური ხარჯები		(443)	(211)
მოგება დაბეგვრამდე		**2,704**	**1,102**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**2,704**	**1,102**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**2,704**	**1,102**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2021	-	**4**	**4**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,102	1,102
გამოცხადებული დივიდენდი	-	(490)	(490)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	**616**	**616**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,704	2,704
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	**3,320**	**3,320**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,704	1,102
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა		6	5
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		1	1
საპროცენტო ხარჯი		421	190
საპროცენტო შემოსავალი		(126)	(75)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა		(103)	(61)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე		11	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		**2,914**	**1,162**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,075)	(1,329)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(1,538)	(484)
ცვლილებები მარაგებში		(15,289)	(655)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		13,851	1,602
ცვლილებები სახელშეკრულებო ვალდებულებებში		6,519	79
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		(122)	145
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(1,654)**	**(642)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,260**	**520**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5)	(13)
გაცემული სესხები	7	(8,510)	(1,755)
გაცემული სესხების დაფარვა	7	8,123	771
მიღებული პროცენტი	7	128	71
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(264)**	**(926)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის აღება		11,127	3,919
სესხის დაფარვა		(12,049)	(2,481)
გადახდილი პროცენტი		(427)	(168)
გადახდილი დივიდენდი		-	(490)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**(1,349)**	**780**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		**(126)**	**(42)**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(479)	332
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		497	165
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	**18**	**497**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 17 ოქტომბერს

დირექტორი
დიმიტრი ზედელაშვილი

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2019 წლის 14 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400261328.

ძირითადი საქმიანობა. შპს „კავკასუს პრემიუმ ლუბრიკანტსი“ ახდენს ევროპული საცხებ-საპოხი მასალების და საბურავების იმპორტს საქართველოში და შემდგომ პარტნიორების მეშვეობით, იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას მის სამოქმედო არეალის მასშტაბით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #138.

კომპანიის მეწილეები:

	2022	2021
ლია წაქაძე	90%	90%
შოთა მშვილდაძე	5%	5%
პეტრე წაქაძე	5%	5%

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2022 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ

ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.
უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავდროულად კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლები ფუნქციონალური ვალუტის გამოყენებითაა შეფასებული.

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის გამოყენების განსასაზღვრად, ისეთი არაფულადი აქტივების ან არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის არაერთი წინასწარი

გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავალის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგებისშემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაცშეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არაკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს.კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

იჯარა

საოპერაციო იჯარა - კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და დაანგარიშდება, როგორც განაწილებული წმინდა თანხის 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების

გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის ვალდებულება კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან არადაკავშირებული ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება დღგ-ის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია დღგ-ის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან. ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვის გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს დღგ-ს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დღგ-ის წმინდა ოდენობა ასახულია როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს ყველა საგადასახადო კრედიტორულ ან დებიტორულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და ბანკში არსებულ ნაშთებს და არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ ხარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე ირიცხება, შესაბამისი სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ე.ი.მაშინ, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასხვისებით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან შედარებით და მოგება-ზარალში აღიარდება სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის ნაწილში.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის ღირებულებასა და შეფასებული ნარჩენი ღირებულების სხვაობის მიხედვით.

ზოგადად, ცვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო გამოყენების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი: საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და სხვ. 3-დან 10 წლამდე.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები შედგება ნაღდი ფულისგან და ბანკში არსებული ნაშთისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება კომპანიის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების

რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ანზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებულიღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალისაღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტოგანაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველამოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხებანროგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულდება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად

განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებასა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის კომპანია ორ მეთოდს იყენებს - ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიური შეფასების მეთოდს. ინდივიდუალური მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მნიშვნელოვან კონტრაგენტებთან, დაკავშირებულ მხარეებთან.

5. მარაგები

მარაგები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გადასაყიდად გამიზნული საქონელი	6,872	726	254
გადაცემის პროცესში მყოფი საქონელი	9,313	182	-
სხვა	2	1	-
სულ მარაგები	**16,187**	**909**	**254**

ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ასახულია გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში და შეადგინა 49 946 ლარი.

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერა მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე და აღირიცხა სხვა საოპერაციო ხარჯებში 11 ლარის ოდენობით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	5,670	1,248	400
სხვა მოთხოვნები	2	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**5,672**	**1,248**	**400**

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადგილი არ ჰქონია მოსალოდნელ საკრედიტო ანარიცხებს.

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გაცემული სესხები	8,510	1,755	-
სესხის დაფარვა	(7,389)	(771)	-
მიღებული პროცენტი	(120)	(71)	-
საპროცენტო შემოსავალი	118	75	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, დანაკარგი	(38)	(254)	-
სულ გაცემული სესხები	**1,081**	**734**	**-**

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	18	488	165
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	9	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**18**	**497**	**165**

კომპანია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ძირითად ნაშთებს ფლობს ქართულ კომერციულ ბანკში, რომელსაც „Standard and Poor's"-ის და „Fitch"-ის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB-რეიტინგი.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	14,688	1,529	573
ვალდებულება პერსონალის წინაშე	148	57	44
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**14,836**	**1,586**	**617**

10. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	50,609	24,738
სხვა შემოსავლები	-	-
სულ შემოსავალი	**50,609**	**24,735**

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	5,672	1,248
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე წილი	6,812	292

დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობოდ ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და ის წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

11. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	45,946	22,776
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**45,946**	**22,776**

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	532	355
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	182	87
საიჯარო ხარჯი	55	34
საოფისე ხარჯები	43	9
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	5
სხვა ხარჯები	101	176
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**920**	**666**

13. პირობითი ვალდებულებები

სასამართლოში საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. საკუთარი შეფასების და შიდა და გარე პროფესიონალური კონსულტაციის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ,,კომპანიის" ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

14. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. კომპანიას აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია გასწევს საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობის რისკებს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	5,672	1,248	400
გაცემული სესხები	1,081	734	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	497	165
სულ საკრ. რისკის მაქს. მოცულობა	**6,771**	**2,479**	**565**

სავაჭრო მოთხოვნები

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. დებიტორული დავალიანებების უმრავლესობა მშობელ და დურ კომპანიებს უკავშირდება. მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივების ნაშთების რეგულარულ გადახედვას და ვადაგადაცილებული ნაშთების ანალიზს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს ვადიანობის შესახებ და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის მე-6 შენიშვნაში წარმოდგენას.

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე, ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნების სტატუსიც.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობით კერძო და იურიდიულ მომხმარებლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო მოთხოვნების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე აღრიცხული ანარიცხების მიღმა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკები წარმოიშობა უცხოური ვალუტების ღია პოზიციების გამო, რომლებიც დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკების მიმართ, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული, ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, ყველა სხვა კოეფიციენტის მუდმივ დონეზე შენარჩუნებით. პრაქტიკაში ეს სავარაუდო არ არის და რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილება შესაძლოა ურთიერთდაკავშირებული იყოს.

სავალუტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის და სესხების ვალუტებს და კომპანიას საწარმოების სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიი სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი 2022		**31 დეკემბერი 2021**		**1 იანვარი 2021**	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივებ	1,464	4,208	713	1,277	379	23
ფინ. ვალდებულებები	(3,662)	(10,925)	(1,528)	(1,204)	(19)	(33)
ნეტო პოზიცია	**(2,198)**	**(6,717)**	**(815)**	**73**	**360**	**(10)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა, სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ, კომპანიას სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო კომპანია ყველა სხვა ცვლადს მუდმივ პოზიციაში შეინარჩუნებს:

	2022	2021
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	**გავლენა მოგებაზე ან ზარალზე**
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(220)	(82)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	220	82
ევროს 10%-იანი გამყარება	(672)	7
ევროს 10%-იანი გაუფასურება	672	(7)

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ არის წარმომადგენლობითი მნიშვნელობის წლის განმავლობაში ტიპიური დაქვემდებარებისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დანაკარგების განუცდელად და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიოს საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, საკმარისი სამი თვის განმავლობაში. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც დავალიანების თანხა არ არის ფიქსირებული, ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დარჩენილი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. თანხები ბრუტო და არადისკონტირებულ საფუძველზეა წარმოდგენილი, მოიცავს მოსალოდნელ საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულების გავლენას.

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები	9	-	-	-	-	**9**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,836	-	-	-	-	**14,836**
სულ მომავალი გადახდები	**14,845**	-	-	-	-	**14,845**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები	87	174	994	-	-	**1,255**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,586	-	-	-	-	**1,586**
სულ მომავალი გადახდები	**1,673**	**174**	**994**	**-**	**-**	**2,841**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	617	-	-	-	-	**617**
სულ მომავალი გადახდები	**617**	**-**	**-**	**-**	**-**	**617**

15. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები) ხასიათდება, ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ რეალური ღირებულებას უახლოვდება.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,101
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(84)
გაცემული სესხები	-	-	1,081
გადასახდელი ხელფასი	-	(106)	-

2021 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,086
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(61)
გაცემული სესხები	-	-	(1,252)
გადასახდელი ხელფასი	-	(46)	-

2020 წლის 1 იანვარს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	378
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(24)
გადასახდელი ხელფასი	-	(36)	-

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავში-რებული მხარეები*
საქონლის რეალიზაცია	-	-	19,648
საქონლის გასაყიდად შეძენა	-	-	(732)
საქონლის და მომსახურების შეძენა	-	-	(183)
იჯარის ხარჯი	-	-	(158)
პერსონალის ხარჯი	-	(201)	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	96
საპროცენტო ხარჯი	-	-	(154)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავში-რებული მხარეები*
საქონლის რეალიზაცია	-	-	9,724
საქონლის გასაყიდად შეძენა	-	-	(36)
საქონლის და მომსახურების შეძენა	-	-	(126)
იჯარის ხარჯი	-	-	(27)
პერსონალის ხარჯი	-	(131)	(1)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	(60)
საპროცენტო ხარჯი	(490)	-	-

*სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად მოიცავს კომპანიის მესაკუთრეებთან დაკავშირებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებს (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები).

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

„შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“

2022 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 17 ოქტომბერი

დიმიტრი ზედელაშვილი დირექტორი	დაჩი ჯაიანი მთავარი ბუღალტერი

„შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“

2022 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 17 ოქტომბერი

დიმიტრი ზედელაშვილი
დირექტორი

400261328

„კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ შპს
LLC "CAUCASUS PREMIUM LUBRICANTS"
საქართველო, ბათუმი
GEORGIA, BATUMI

დაჩი ჯაიანი
მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით

მმართველი პარტნიორი: კახაბერ თეთრუაშვილი

2023 წლის 17 ოქტომბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით

მმართველი პარტნიორი: კახაბერ თეთრუაშვილი

2023 წლის 17 ოქტომბერი

სარჩევი

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია 1
გარემოს დაცვის მენეჯმენტი 2
„კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 3
კორპორატიული მართვა 4
შიდა კონტროლების მიმოხილვა 4
ბიზნესი და ოპერაციები 5
2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები 5
სამომავლო გეგმები 5
კომპანიის ფინანსური შედეგების მიმოხილვა 6
კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება 7

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია

შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსის მიმოხილვა

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსი“ დაარსდა 2019 წელს. კომპანია წარმოადგენს ისეთი პოპულარული ბრენდების ოფიციალურ დისტრიბუტორს საართველოში, როგორებიცაა: ExxonMobil, Michelin, Riken. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს Mobil-ის ბრენდის საცხებ-საპოხი მასალების, Michelin-ის და Riken-ის ბრენდის საბურავების რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის გაყიდვების დიდი წილი მოდის ექსპორტზე, ძირითადი სასაქონლო მარაგები კონცეტრირებულია საბაჟო საწყობებში. კომპანიის მიზანს წარმოადგენს გაყიდვების მოცულობის, საერთაშორისო თუ ადგილობრივ ბაზარზე წილის და საერთაშორისო პარტნიორთა რაოდენობის ზრდა.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 10 ადამიანი.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი

კომპანიის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსი ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ის ვალდებულებას იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

„კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები-სავალუტო რისკები.

კომპანია სავალუტო რისკს გასწევს იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო, იაპონური იენი, რუსული რუბლი. აქედან, ყველაზე მნიშვნელოვანია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანებების სტატუსიც.

კომპანია სავაჭრო დებიტორული დავალიანებებიდან გამოწვეულ საკრედიტო რისკის ანეიტრალებს დაუფარავი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზით. გაუფასურების ანალიზი ტარდება ინდივიდუალურად კონტრაგენტების მიხედვით. ამ ეტაპზე, კომპანიის მენეჯმენტი შესაბამისად მიიჩნევს ვადიანობის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მენეჯმენტის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები სამი თვის განმავლობაში. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

კორპორატიული მართვა

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტსის“ მართვის უმაღლეს ორგანოს პარტნიორთა კრება წარმოადგენს.

კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით კომპანიაში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებებისა და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

შიდა კონტროლების მიმოხილვა

კომპანიის მენეჯმენტი ადეკვატურ ყურადღებას აქცევს შიდა კონტროლის სისტემას და აცნობიერებს IT კონტროლის მნიშვნელობას. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შეტანილი მასალები ემყარება დამხმარე დოკუმენტაციას, რომელიც გენერირდება შინაგანად ან მიიღება მომწოდებლებისგან ან გამყიდველებისგან. ფულადი სახსრების გადინების ყველა ოპერაცია მკაცრად კონტროლდება ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება მისი დირექტორი.

ბიზნესი და ოპერაციები

შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ ამ ეტაპზე მომხმარებლებს სთავაზობს ავტომოტივ პროდუქტების სრულ ასორტიმენტს. კომპანია ბაზარზე 2019 წლიდანაა წარმოდგენილი პრემიუმ ბრენდით.

- ExxonMobil
- Michelin
- Riken

სამომავლოდ იგეგმება ახალი პროდუქტების დამატება, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს მომწოდებლებთან მოლაპარაკებები. შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ შპს „კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტმა“ უახლოეს მომავალში მომხმარებელსშესთავაზებს გაფართოებულ ასორტიმენტს ყველა მიმართულებაში.

2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2022 წელს პირველად განხორციელდა მსხვილ-გაბარიტიანი საბურავების შესყიდვა Michelin-ისგან, რომლის პრეცენდენტიც აქამდე არ ყოფილა. გარდა ამისა, კომპანიამ უზრუნველყო მიშლენის ზამთრის საბურავების მიწოდება ყაზახეთის ბაზრის მსხვილ მოთამაშეებისათვის. მნიშვნელოვანი იყო Mobil-ის ბრენდზე უზბეკეთის ბაზარზე გაყიდვების დაწყება.

სამომავლო გეგმები

კომპანიის 2023 წლის გეგმები მოიცავს მიმდინარე პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოებას და ახალ ბაზრებზე უფრო აქტიურ ოპერირებას.მოწოდების ვადების, რაოდენობების და დაკმაყოფილების %-ის გაზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება უზბეკეთში Mobil-ის ბრენდის ოფიციალურად გაყიდვის უფლების მოპოვება.

კომპანიის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2022 ფისკალური წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულად შემოწმებულია აუდიტორული კომპანიის მიერ.

შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

2022 წელს კომპანიის გაყიდვებმა 50,609 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 104,58%-ით აღემატება წინა წლის შედეგს, როდესაც გაყიდვებმა 24,738 მილიონი ლარი შეადგინა. რეალიზებული საქონლისა და მომსახურებების თვითღირებულება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 101,73%-ით. შემოსავლების ზრდა წლიდან წლამდე განპირობებულია კომპანიის ორგანული ზრდით. კომპანია მუდმივად ცდილობს ახალი ბრენდების შეთავაზებითა და ბიზნესის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაფართოებით, გაამყაროს პოზიციები ბაზარზე და მუდმივად კონკურენტული გარემო შექმნას.

(ათას ლარში)	2022	2021
შემოსავლები	**50,609**	**24,738**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(45,946)	(22,776)
საერთო მოგება	**4,663**	**1,962**
საერთო მოგების მარჟა	**9,21%**	**7,93%**

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

(ათას ლარში)	2022	2021
შემოსავლები	**50,609**	**24,738**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(45,946)	(22,776)
საერთო მოგება	**4,663**	**1,962**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(920)	(666)
კომერციული ხარჯები	(1,000)	(123)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	213	5
სხვა საოპერაციო ხარჯები	(38)	(1)
საოპერაციო მოგება	**2,918**	**1,177**
საოპერაციო მოგების მარჟა	**5,77%**	**4,76%**

2022 წელს საოპერაციო მოგებამ 2,918 მილიონი ლარი შეადგინა. 2022 წლის საერთო მოგება 137,67%-ით აღემატება 2021 წლის მონაცემს. ზრდა დიდწილად განპირობებულია 2021 წელთან მიმართებაში გაყიდვების ზრდით. 2022 წელში გაზრდილია კომერციული ხარჯები, რაც გამოწვეულია იჯარების და გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯების ზრდით.

EBITDA

2022 წელს EBITDA 2,925 მილიონი ლარი იყო, რაც 147,35 %-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც EBITDA 1,182 მილიონი ლარი იყო. EBITDA-ს ზრდა ძირითადად გამოიწვია საოპერაციო მოგების ზრდამ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

(ათას ლარში)	2022	2021
შემოსავლები	**50,609**	**24,738**
საოპერაციო მოგება	2,918	1,177
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(7)	(5)
EBITDA	**2,925**	**1,182**

ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი) და წმინდა მოგება

„კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს“ ფინანსური ხარჯი უმეტესწილად წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს, ხოლო ფინანსური შემოსავალი გაცემული სესხებიდან მიღებულ შემოსავალს და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ შემოსავალს, რაც კომპანიის ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით მიიღება. 2022 წელს საპროცენტო ხარჯმა 0,421 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს - 0,190 მილიონი ლარი. საპროცენტო ხარჯის მატება გამოწვეული იყო 2022 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებების მოცულობის ზრდით.

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

კომპანიის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.

ასევე, წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.